№ 257 დეკემბერი 4, პარასკევი 1892 დეკემბერი 4, პარასკევი № 257


გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებით-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


## ახალი ამბავი

*** დღეს, 4 დეკემბერს, ნავთლუღის წმ. ბარბარეს ეკკლესიაში მწირველი ბრძანდება მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა ექსარხოსი საქართველოსი ვლადიმირი გორისა და ალავერდის ეპისკოპოსთა—ალექსანდრესა და ბესარიონის თანამწირველობით.

*** ოთხშაბათს, 2 დეკემბერს, ბ-ნ სვიმონიძის ბენეფისმა მცირე საზოგადოება არ მიიზიდა. თეატრი თითქმის სავსე იყო და მობენეფისეს საკმაოდ მიართვეს ძვირფასი საჩუქრები; მიართვეს აგრეთვე დაფნის გვირგვინი და მისივე სურათი. პიესამ, რომელიც იმ დღეს პირველად იქმნა წარმოდგენილი, ერთნაირად არ იმოქმედა ყველაზედ: მდაბიო ხალხს უფრო მოსწონდა; ნასწავლი ხალხი-კი უფრო იწუნებდა. ასე თუ ისე პიესამ აალაპარაკა დამსწრე საზოგადოება და დაჰბადა სჯა-ბაასი, კამათობა, თუ ცხარე არა, მცირეოდენი მაინც. პიესის ღირსება-ნაკლულევანების შესახებ შემდეგ იყოს, ეხლა-კი ვიტყვით, რომ დასი ურიგოდ არ იყო მომზადებული და იმოდენა პიესაში ყველას საკმაოდ კარგად გაეზეპირებინა თავისი როლი. უმეტესი ყურადღება მიიქცია ამ საღამოს უმთავრესის როლების აღმასრულებელთ თამაშობამ: ქ-ნ ბ. ავალოვისამა, სვიმონიძისამ და კ. ყიფიანისამ.

*** ბუხარის ემირს ტფილისში ამ თთვის 18 მოელიან. ემირი ტფილისში ორი დღე დარჩება და შემდეგ კავკავის გზით გაემგზავრება. კავკასიის მთავარ-მმართებელი გენერალ-ადიუტანტი ს. ა—ძე შერემეტიევი ემირს ინახულებს როსტოვს, რადგანაც ბ-ნი მთავარ-მმართებელი კავკასიის გზით გაემგზავრება ამ თთვის 16 ჩრდილოეთ კავკასიაში და იქიდგან—როსტოვს.

*** ტფილისის საზაფხულო თეატრში მალე დაიწყებს თამაშობას უკვე ტფილისს ჩამოსული პეტერბურგის საიმპერატორო თეატრის არტისტი—ქალი მ. პ. ტომსონი. ტომსონს ავადმყოფობის გამო სცენისთვის თავი დაუნებებია პეტერბურგს და, მკურნალთა რჩევით, სამხრეთად გამგზავრებულა. ბ-ნ ფორკატის შეუტყვია ეს ამბავი და რამდენისამე წარმოდგენისათვის მოუწვევია ტფილისს. როგორც ამბობენ, ახალი არტისტი ქალი კარგი მოთამაშეა დრამატიულის როლებისათ.

*** ამას წინად მიხეილის სამკურნალოში მიიყვანა დუშეთის მაზრის გლეხმა მახინჯი ახლად დაბადებული ბავშვი. ბავშვს ხელის თითები გადაბმული აქვს სიფრიფანა ტყავით, იმ გვარად, როგორც იხვს, ანუ ბატს. ექიმებმა უთხრეს ჯერ პატარაა ბავშვი, მერმის მოიყვანე—მაშინ უფრო ადვილად აიტანს აპერაციასო.

*** სამშაბათს, 1 დეკემბერს, ღამის რვა საათზე, მუშტაიდის ბაღში, დაეცნენ ბოროტ-მოქმედნი ტფილისის მოქალაქე გიორგი გუდბროტს, დასცეს ძირს, დაუწყეს ცემა და ორ ალაგასაც დასჭრეს თავში. გუდბროტმა ყვირილი მორთო, მაგრამ მშველელი არსაიდგან გაჩნდა. ბოროტ-გამზრახველები გაიქცნენ. ადგა, როგორც იყო, გუდბროტი და თავის ფეხით მივიდა იქვე პოლიციის სამართველოში და გამოაცხადა ყველა ფერი. აქედგან გუდბროტი მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს ჭრილობის შესახვევად.

მუშტაიდის ბაღში არა ერთხელ და ორჯელ მომხდარა ამ ნაირი ამბავი. საკვირველია, რატომ მის განათებას არავითარ ყურადღებას არ მიაქცევენ!?

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ მიიღო ამერიკულ ვაზის რქები, რომ გამოსცადოს, რამდენად იხარებს იმ ადგილებში, საცა ფილოქსერაა გავრცელებული. რამდენიმე ცალი ამ რქებისა საქარის საფილოქსერო სადგურში იქნება გაგზავნილი, რამდენიმე კიდევ—ტფილისის საბაღოსნო სკოლაში, ხოლო დანარჩენი ადგილობრივ მემამულეთ დაურიგდებათ.

ვაზის რქები ორნაირ ჯიშისაა: „ვიტის ვიპარია“ და „ვიტის რუპესტრისი“. პირველი ადვილად ხარობს ნესტიან ადგილზე, მეორე-კი—მშრალ მაგარ ნიადაგზე. კირ-ნარევი ნიადაგი ორივეს ძრიელ სწყენს. ამ გვარ ვაზის გაშენებას ჩვენში დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან, როგორც გამოკვლეულია, ფილოქსერა ვერას აკლებს ამ ჯურის ვაზებს.

*** ამ დღეებში ტფილისის გუბერნატორმა მისწერა თფილისის გუბერნიის მაზრის უფროსებს, რომ 1893 წლის იანვრამდე წარმოუდგინონ ანგარიში სასოფლო პურის მაღაზიებისა და საზოგადოებათა თანხისა.

*** სახელმწიფო რკინის გზის მმართველობამ შეატყობინასაერო განათლების სამინისტროს, რომ პირველ ნოემბრიდგან შემოღებულია ახალი შეღავათიანი ბილეთები უმაღლესისა და საშუალო სასწავლებლის მოსწავლეთათვის. ამისთანა ბილეთებში დაუკლებენ ნახევარ ფასს, 50%-ს. ბილეთები მიეცემათ სამჯერ, საზაფხულოდ, საშობაოდ და სააღდგომოდ. შეღავათიანი ბილეთები მიეცემათ სასოფლო სკოლის მასწავლებლებსაც მხოლოდ ზაფხულობით, როცა სწავლა არ არის სასოფლო სკოლებში.

*** განოვის ქუჩაზედ, საფაროვის სახლში მცხოვრებელმა ინჟინერ გონიევის ქვრივმა გამოაცხადა პოლიციაში, რომ ჩემმა ლაქიამ ზაალ თამიალაძემ მომპარა დაუკეტავ კამოდიდგან ორი ვერცხლის ბეჭედი, 100 მანეთად ღირებულიო. დამნაშავე შეპყრობილია.

*** ჩვენ მოგვივიდა გაზეთში დასაბეჭდად შემდეგში ანგარიში იმ კონცერტისა, რომელიც გაჰმართა 20 ნოემბერს „ტფილისის საბრანიაში“ კნ. მ. ვ. ჯამბაკურიან-ორბელიანისამ განზრახულ ქართულ დედათა სკოლის სასარგებლოდ: შემოვიდა

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბილეთ. გასყიდვით . | 888 | 55 |
| შემოწირულობით . . | 175 | „ |
| სულ | 1063 | 55 |
| დაიხარჯა: | | |
| დარბაზისა და მისგანათ. | 56 | „ |
| ბილ. და განც. დასაბეჭ. | 19 | 90 |
| მუსიკისათვის . . . . | 20 | „ |
| მარკ., მოს. და სხვა ხარჯ. | 68 | 10 |
| როიალისათვის . . . . | 17 | „ |
| სულ | 181 | 10 |

დარჩა წმინდა შემოსავალი 882 მ., 55 კ. ამასთანავე კნ. მ. ვ. ჯამბაკურიან-ორბელიანისა დიდს მადლობას სწირავს იმათ, ვინც კონცერტში მონაწილეობა მიიღეს: პ. ა. სტრეპეტოვის ქალს, ა. ზანოლის, ცეიტლინის ქალს და ბ-ნთ მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვს, ნ. ა. ლესტოვნიჩის, ი. ფ. სარაჯიშვილს, ნ. დ. კოვალენსკის და იმათაც, ვინც შემოწირულება გამოჰგზავნა.

*** სოფ. სტეფან-წმინდა, 27 ნოემბერს (საქართველოს სამხედრო გზა): ყაზბეგის სადგურში დილის რვა საათზედ კავკავიდგან დეპეშა მოვიდა და მხოლოდ მაშინ გაიგეს აქ, რომ საქართველოს ექსარხოსი, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი ვლადიმერი დღეს, უეჭველად თორმეტს საათზედ მანდ იქნებაო. ამ ამბავმა მთელი სტეფანწმინდა მოძრაობაში მოიყვანა. დიდი და პატარა,—ქალი და რძალი,—ყველა სიხარულით მირბოდა სადგურისკენ, რათა დაენახათ საქართველოს ახილი ექსარხოსი და ლოცვა-კურთხევა აეღოთ.

ათის წუთის განმავლობაში სადგურის მიდამო სულ ხალხით აივსო. სტეფანწმინდის სკოლის შეგირდებიც სადგურის აივანზედ იდგნენ დამწკრივებულნი და მოუთმენლად მოელოდნენ თავიანთს მომავალს მფარველს. ჩვენი სკოლა ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოების სკოლაა და ამ საზოგადოების თავსმჯდომარე ეგზარხოსია. ყველა ფიქრში იყო წასული, მაგრამ დიდხანს არ გასტანა ამ საზოგადო დუმილმა და ფიქრმა; უცბად გაისმა ზარების რეკა და ხალხმა, თითქოს ძილისაგან გაღვიძებულმა, ფიქრი და დარდი სიხარულით შესცვალა და მიაპყრო თვალი იქით, საიდგანაც უნდა მობრძანებულიყო მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა. თხუთმეტ წუთს არ გაევლო, რაც ზარებს დაუწყეს რეკვა, რომ ექსარხოსის ეტლი სადგურის წინ გაჩერდა. ხალხმა ქუდები მოიხადეს და თავი დაუკრეს ექსარხოსს, როდესაც მან ჯვარი გადასწერა; სკოლის შეგირდებმა, თავის დაკვრასთან ერთად' სასიამოვნოდ იგალობეს „ისპოლა“, რომლითაც მათ პირველთ მიიქციეს ყურადღება მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობისა. ეგზარხოსმა მასწავლებელს ჰკითხა, რამდენი ხანია, რაც სკოლა არსებობს და ან ვის განკარგულებაში იმყოფებაო. მასწავლებელმა შესაფერი პასუხი მისცა. ყაზბეგის სადგურში მიეგებნენ მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას ტაინი სოვეტნიკი ოსეცკი და დეკანოზი ელიევი, მხოლოდ მაღალ-ღირსი არხიმანდრიტი ამბროსი-კი ძაუგის (კავკავის) სადგურში მიჰგებებოდა. სადგურიდგან მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა წაბძანდა აქაურს ეკკლესიაში, სადაც ადგილობრივმა კრებულმა მცირედი პარაკლისი გარდაიხადა. ექსარხოსს ძლიერ მოეწონა აქაც სკოლელების ქართული გალობა „ღირსაარსი და ისპოლა“. შემდეგ პარაკლისისა, მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ აქაურს მღვდელს უბრძანა, ყოველთვის იგალობონ ხოლმე შეგირდებმა ეკკლესიაში, უფრო ბევრი ხალხი დაიწყებს სიარულს წირვა-ლოცვაზეო. შემდეგ ამისა სადგურში ისადილა მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ და პირველს საათზედ გაემგზავრა ტფილისისკენ. იმ ღამეს მლეთის სადგურშა ჩამოხდა. მლეთის სადგურში მის მიღალ ყოვლად უსამღდელოე-

## ფელეტონი

### გზა-დაბნეულნი ცხოვარნი

— მომეხმარა ღმერთიო, ეუბნებოდა, ვისაც-კი გადაეყრებოდა, ნაცნობი იქნებოდა, თუ უცნობი, მღვდელი მაკარი ჩინჩალაძე: შვილი სემენარიაში მეზრდება, ორის წლის შემდეგ გაათავებს კიდეც სემინარიას და ჩემს ოლარს და მრევლს მას დაულოცავო.

მართლაც სრული ოთხი წელიწადი იქნებოდა მას აქეთ, რაც მამა მაკარიმ თავის პირმშო შვილი სიმონი სემინარიაში მისცა და თითონ-კი განუსაზღვრელს სიხარულს მიეცა, რომ ღმერთმა ასეთი ბედნიერება აღირსა. მაკარის, თუმცა დიდი მრევლი არა ჰყავდა და, მაშასადამე, დიდი შეძლებაც არა ჰქონდა, მაგრამ თითონ ისაკლისებდა ყველაფერს, შვილს-კი რიგიანად ინახავდა. ხშირად მოხდებოდა, რომ მაკარი თავის სოფელში თვლებიანი ქალამნებით გენახათ მაშინ, როდესაც იმისი შვილი გაწმენდილ-გაკრიალებულის აპოიკის წაღებით ეპრაკუნებოდა სემინარიის კიბეზედ: „სასახელოდ და სასიქადულოდ ის მეყოფაო, ბევრჯელ უთქვამს მაკარის, თუ შვილს არაფერს მოვაკლებ და სწავლაში ხელს არ შევუშლიო“. შვილმაც იცოდა მამის ასეთი აზრი და, მართალია, სწავლაში დიდს გულმოდგინეობას იჩენდა, მაგრამ სამაგიეროდ მამის ჯიბის დაზოგვაში დიდი გულ-შეუტკივრობა ეტყობოდა. ტფილისში მისვლა და მისი ცხვირის მაღლა დაჭერა ერთი იყო. ხოლო, ხომ მოგეხსენებათ, ვისაც ასეთის „პოზის“ შერჩენა უნდა, იმას ჯიბეც ხელს უნდა უწყობდეს. სიმონის ჯიბის წყარო მამა მისის ჯიბე იყო, რომელიც, როგორც ზემოდაც ვსთქვით, მართლა რომ დაუშრობელი წყარო იყო. საკმარისი იყო სიმონას მიეწერა მამისათვის, ამ თთვეში ყველა საგანში „პიატი“ მივიღეო, რომ მამასაც თავის მხრით წითელ-წითელი ასიგნაციები ეგზავნა თავის შვილისათვის. შემდეგ გახარებული ჩამოჰყვებოდა ნაცნობებში და უკითხავდა სიმონის წერილს, რომელშიაც დიდის გაჭიანურებით და გაზვიადებით იყო მოთხრობილი „პიატების“ მიღების ამბავი. ამ ნაირად „პიატი“ სიმონის სატრფიალო და სათაყვანო საგნად გადაიქცა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც „პიატი“, ცოტად თუ ბევრად, მამისაგან ფულების მიღებაში ჰშველოდა, ხოლო ფულები-კი კოხტად აცხოვრებდა. ასე თუ ისე „პიატი“ გახდა სიმონას სულის ჩამდგმელად, იმის იდეალად და ღმერთად. გაკვეთილებს იმიტომ-კი არ სწავლობდა, რომ შეეგნო და შეეთვისებინა, არამედ იმიტომ, რომ „პიატი“ მიეღო. „პიატი“ ეჩხირებოდა თვალებში, „პიატი“ ეხატებოდა გონებაში, „პიატი“ ადგებოდა ენაზედ. როცა კარგს ღვინოს დაჰლევდა, ან კარგს პაპიროსს მოსწევდა, იტყოდა, ისეთი კარგია, რომ „პიატი“ ეკადრებაო. ამხანაგებმაც იცოდნენ სიმონის ასეთი სისუსტე და ლამაზის ქალების და ნახვაზედ დაეკითხებოდნენ: აბა, რომელს მაც განს ეკადრება „პიატიო“. სიმონიც დაასახელებდა და ატყდებოდა ერთი ხარხარი.

ვინ არ იცის, რომ ყველა საგანში „პიატის“ მიღებას დიდი თავის ტეხა სჭირია. სიმონიც სწორედ რომ თავის ტეხით ამზადებდა გაკვეთილებს. ისე ჩაიზეპირებდა გაკვეთილებს, რომ შეიძლება ზოგიერთა დიაკვანმა „მამაოჩვენოც“ არ იცოდეს ისე. გაკვეთილებს გარდა-კი, გატეხილი უნდა ვსთქვა, არაფერს წაიკითხავდა. თავისუფალს დროს თუ მოიხელებდა, ისევ სარდაფებს ეწვეოდა და ბახუსის თაყვან-ცემაში ერთობოდა.

ამ ნაირი ცხოვრება, რაღა თქმა უნდა, სიმონის გონებრივ სალაროს ვერაფერს შესძენდა და არც შეუძენია. «პიატებმა» გააამაყა, საკმაო სალსარმა ცხოვრებისამ გაალაღა, და ამ გვარად სიმონს ვერ წარმოედგინა თუ რაიმე ნაკლი ჰქონდა, თუ ყველაფერში სრული და სავსე არ იყო.

როცა სოფელში საორთთველოდ მოვიდოდა და ოჯახს ეწვეოდა, ცხადად შეამჩნევდით, რომ ეს კაცი თავის თავისა დიდად კმაყოფილიაო. ახი-

სობას დაჰხვდნენ მაღალ ღირსი არხიმანდრიტი მამა ნიკოლოოზი, დუშეთის მაზრის უფროსი ჩეხოვსკი და ხევ-მთიულეთის ბოქაული ფურცელაძე, აგრეთვე ადგილობრივი ბლაღოჩინი მამა ნასარიძე.

*** მეჯრუხევა (გორის მაზრა): ხოლერით გარდაცვალებულებს ამ ზაფხულს ახლად არჩეულს ადგილებში ასაფლავებდნენ. სოფელს მეჯრუხევში, ღვთის მშობლის ეკკლესიის ახლო, გორაკზედ, განუწესეს ხოლერით გარდაცვალებულებს დასაფლავება. სხვათა შორის, ერთის სასაფლაოს თხრის დროს, მთხრელები წააწყდნენ შიგ მიწაში ჩადგმულ-აშენებულს ქვითკირის სახლს, რომელსაც, როგორც მნახველები ირწმუნებიან, კედლებიც შეუმლელი ჰქონდა, ჭერიც დახურული, თახჩები და ფანჯარაც. თუმცა შიგ არავინ ჩასულა, მაგრამ გარედგანვე თახჩებში ჯამები და რაღაც სხვა საგნები მოჩანსო. გარდაცვალებული ჩაასვენეს კარებიდგან შიგ და ისევ ამოჰქოლეს შესავალი. არ ვიცით, რას ნიშნავს ეს სახლი სრულებით უადგილო ალაგას?

*** 1 დეკემბერს, ორთაჭალაში, უეცრად გარდაიცვალა მანთაშოვის მებაღე ქუთაისის მაზრის, ს. კვითირის მცხოვრები ალექსი რუხაძე. გვამი საანატომიო თეატრში გაჰგზავნეს. გამოძიება სწარმოებს.

*** 2 დეკემბერს, ნაშუადღევის 1 საათზე, ციციანოვს აღმართის ახლო მიმავალმა ცხენის რკინის გზის ვაგონმა დაშავა ქუთაისის მაზრის ავეილის მცხოვრები ზაქარა ჭრელაშვილი. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს. გამოძიება სწარმოებს.

---

## ვთამრობის განკარგულებანი

შინაგან სამინისტროს განკარგულებით ქალაქ თბილისის გამგეობის წევრი ვ.ა. იზმაილოვი დანიშნულ იქმნა წევრად ტფილისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოში.

კავკასიის სამხედრო-საერო მმართველობისაგან ებოძა ოქროს მედალი სტანისლავის ლენტით ბათუმის ოლქის დეპუტატს თემურ-ბეგ აჭარელს ერთგულობისათვის, რომელიც გამოიჩინა მან განქცეულ პატიმარი ახმედ-მემიშოღლის დაჭერის დროს.

---

## სახელდახელო

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი).

პოლემიკის ჟინმა მეც ამიტანა. ბრალიანი და უბრალო წამოავლებს, ბატონო, კალამს ხელსა, ერთ წამსაც არ დაფიქრდება, რაზე ვესაუბრო მკითხველსაო, და მოჰყვება აბდაუბდას. რუსეთის გამოჩენილმა კრიტიკოსმა ნ. მიხაილოვსკიმ აღნიშნა ერთგვარი ლიტერატორი. ამ ჯურის მწერალს სიტყვები-კი არ ემორჩილება, არა, თვითონ ემორჩილება კალამს, სიტყვასაო. რასაკვირველია, ამ გვარის შემოქმედობისაგან დომხალის მეტი არა გამოდის-რა, მაგრამ ისიც უნდა იცოდეთ, რომ დომხალსაცა ჰყავს მუშტარი, განსაკუთრებით ყველიერში და ეს ვაჟბატონები მუდამ თამამად დადიან, თავზე ყვავს არ იკარებენ, თავისი პატარა თავები „დიდ ვინმედ“ მიაჩნიათ. ამ ჯურის მწერალისათვის, მიხაილოვსკის სიტყვით, კანონი არ არსებობს. საითაც კალამი წაიყვანს, იქით მიდის იმისი აზრი. უფრო-კი შენიშნულია, რომ „დიდებს“ ეტანებიანო, ე. ი. ვისაც უფრო დიდი სახელი და პატივისცემა აქვთ მოხვეჭილი. აბა პატარა კაცი რომ გამოლანძღო, რა იქნება, მადლობას ვინ გეტყვის, არც-კი წაიკითხამენ. სულ სხვაა „სახელიანი“ კაცი. ალბად იმის ტოლია, რომ ასე კვალში ჩაუდგაო, იტყვის ხალხი... მაშ, აბა, პატარა ფინია რაზე იკლამდა თავსა, დაჟინებით რომ ჰყეფდა სპილოსა, იმისთვის რომ სთქვან, ქვეყანაზე მეცა ვყოფილვარ, მეც ვაჟკაცი ვარ, მეც ქუდი მხურავს, ერთის სიტყვით, სთქვან, რომ ამა და ამ ქალაქში სცხოვრობენ დობჩინსკი და ბობჩინსკიო...

დიაღ, ბატონებო, მეც პოლემიკის სურვილმა გამიტაცა. მაგრამ იცით, ვის უნდა გამოვეკამათო? რას მიხვდებით! ჩვენ პოლოსს ავეტიჩს, აი ამას წინად ბ-ნმა ორ-ანმა რომ დაგვისურათა. მე თვითონ პატარა კაცი ვარ, დიდებთან დავიდარაბის თავი არა მაქვს. ჩემი სახელი არც-კი არავინ იცის. ამისათვის პოლოსა ამოვარჩიე, ჩემი საკბილო ის არის.

ჰო, და პოლოს ავეტიჩ, რომ გაიძახი, ამ ოხერ ქვეყანაში (ე. ი. ჩვენს კურთხეულ საქართველოში) ჭკუა მოვიდაო, ტუტუც კნიაზებმა ჭკუა ისწავლესო, ჟელეზნის გზას აკეთებენ, მთელი ქვეყნის სირაჯხანას ჰმართამენო; ჰო, გული რომ შეგტკივა ქვეყნისათვის, ეს ამოდენა ვაჭარი ხალხი ხომ მშიერი მოკვდაო, გეუბნები, რომ სულ ტყუილია, სიზმარში მოგჩვენებია. აბა, ერთი ენგლუნდის ბენეფისზე ყოფილიყავ, ვნახამდი, მაშინაც იტყოდი, ტუტუცები დაჭკვიანებულანო, თუ არა. თაიგულები ვინ მიართვა ცუგრუმელა, ცქრიალა მომღერალს? ქართველებმა. საჩუქრები? ისევ იმათ. „лихая тройка“ ვინ დაიქირავა? იმათ. ვახშამი? ისევ იმათ. ახლა რაღას იტყვი პოლოს? განა ეს ტუტუცობა არ არის? დიდი ხანია ჭკუას შემოვწყერით ქართველები, პოლოს ავეტიჩ, და ჯერ ვინ იცის, როდის შევურიგდებით. აი ჩვენს ქართულ წარმოდგენებზე სამ ლოჟას ვერ ჰნახამ ქართველებისაგან დაჭერილს, გუშინ წინ-კი ენგლუნდის ბენეფისზე დარბაზი სამსე იყო ქართველებით...

---

## წერილი ხევიდამ

ს. სტეფან-წმინდა.—სკოლის დაარსება სტეფან-წმინდაში (ყაზბეგში).—კურთხევა სკოლისა.—ისტორია მის დაარსებისა.—ბერ-მონოზონი მამა ლეონიდი.—პანაშვიდი მ. ზ. ყიფიანის მოსახსენებლად.—ქადაგება სკოლის დასაარსებლად და განაჩენის შესადგენად.—წინად და ეხლა.—120 შეგირდი.

მზე მოგვეახლა, უკუნი
ჩვენთვის აღარა ბნელია,
ბოროტსა სძლია კეთილმა,
არსება მისი გრძელია.

22-ს ოქტომბერს სოფ. სტეფანწმინდაში აკურთხეს სოფლის სკოლა, რომელიც ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოების სახელობაზედ დაარსდა. სკოლის მასწავლებლად არის ტფ. სას. სემინარიაში კურსდამთავრებული ბ-ნი ნ. კახიშვილი. სკოლის კურთხევის დღეს ადგილობრივს ეკკლესიაში მწირველი იყო იერომონახი მ. ლეონიდი თანამწირველობით კობის ბლაღოჩინის მ. ნასარიძესა, სნოს მღვდლის მ. გ. სარიძესა, სიონის მღვდელ ზ. კობაიძესა და ადგილობრივ მღვდელ პ. ბარნაბიშვილისათა; წირვას ხალხი ბევრი დაესწრო, ასე, რომ ეკკლესიაში ტევა აღარ იყო. წირვის შემდეგ მ. ლეონიდი კრებულითურთ და ხატებით ხალხს სკოლის შენობაში გაუძღვა, სადაც გადაიხადეს პარაკლისი და ბავშვებს დაურიგეს ყელზედ სატარებელი ჯვრები. სკოლის დარბაზის კურთხევის შემდეგ სამღვდელოთ ხატები ისევ ეკკლესიაში წაასვენეს.

მ. ლეონიდმა მდაბიურად უქადაგა ხალხსა და აუხსნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ქრისტიანობას, ეკკლესიას, სკოლას და სწავლას ხალხისათვის. რა დღე ჰქონდათ უწინ ჩვენს წინაპართა, რა დღეში ჩაცვიდნენ შემდეგ გარეშემო მოსახლე მაჰმადიანთა მტრობით, და რითი შეიძლება აღდგენა იმ ბედნიერებისა, რომელიც წინად ხელთ ჰქონდა ჩვენს ერსა. მ. ლეონიდმა სიტყვით და მაგალითებით დაუმტკიცა ხალხსა, რომ სწავლით შეიძლება მოპოვება კაი კაცობისა და მოქალაქეობისა, სწავლავე ჰბადებს შიშსა და სიყვარულს ღვთისას და ხელმწიფისას, სწავლითვე შეიყვარებს კაცი და შეითვისებს სჯულსა და მამულსა, სწავლითვე სცემს პატივს კაცი მშობლებს და ნათესავებს. ამ გვარმა ქადაგებამ მ. ლეონიდისამ ხალხი, უფრო-კი ბერი კაცები, სმენად გადააქცია. ბერი კაცები ამბობდნენ, ამისთანა მასწავლებელი რომ წინადაც გვყოლიყო, სკოლა აქამდინაც გაიმართებოდაო.

წირვას და ქადაგებას ერთი სრულიად უსინათლო ბერი კაცი ს. გიგაური დაესწრო და იმან ასე სთქვა ეკკლესიაში:—ნეტავი, როგორც ბერმონოზნის სიტყვებმა სმენით დამატკბო, ისე მაგის სახის ხილვაც შემეძლოს და მერე თუნდა მომკვდარიყავიო.

მართლა და ეს დღე სტეფანწმინდელებისათვის დღესასწაულ დღეთ გადაიქცა, რადგანაც ბერის მიერ წირვა და ქადაგება, აგრეთვე ამ გვარის ნეტარის საქმის დაარსება, როგორიც სკოლაა, მთის ხალხისათვის პირველი მაგალითია.

ქადაგების შემდეგ ხალხისავე თხოვნით მ. ლეონიდმა კრებულითურთ ეკკლესიაში გადაიხადა მოკლე პანაშვიდი მიხეილ ზაალის-ძის ყიფიანის სულის მოსახსენებლად, რადგანაც განსვენებულს ყიფიანს ეკუთვნის აქ სკოლის გამართვის პირველი სურვილი. განსვენებულმა მ. ზ. ყიფიანმა მიწერ-მოწერა გაგვიმართა 1890 წელს წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობასთან სტეფანწმინდაში სკოლის გამართვის შესახებ. ხსენებულმა საზოგადოების გამგეობამაც, თანხმად განსვენებულის ყიფიანის მოხსენებისა, სტეფანწმინდაში სკოლის გამართვის სურვილი განაცხადა და პირველად საქმის დაწყებისათვის თავის მხრით 200 მანეთის შემწეობა აღგვითქვა. მაგრამ, სამწუხაროდ, მარტის 2-ს 1891 წელს უწყალო სიკვდილმა წაგვართვა ამ ნაირი სასარგებლო კაცი და მაშინვე ჩვენის სკოლის ბედიც სხვანაირად შეიცვალა. ჩვენ, შეძლებისადა გვარად, ხალხში ხელისმოწერას ვმართავდით, თითო-ოროლ გროშს ვაგროვებდით და თანაც ხალხს ვაიმედებდით, სკოლას გავმართავთო; 290 მანეთი შევაგროვეთ, და სკოლის გამართვა-კი ვერას გზით გვიხერხდებოდა. სოფლად ხალხის ჯავრობას და სიცილს ბოლო არა ჰქონდა; ერთნი ჯავრობდნენ, სკოლა არ გვინდა, ხარჯი დაგვედება მეორენი იძახოდნენ: ფული შეკრიბეს და შეჭამეს, სკოლა-კი არსად არისო. მაშინ ჩვენც, როგორც ყველა მხრით იმედ-მოკლებულთა, წარსულს მაისის 13-ს მათ იმპერატორებითის უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატრიცას მივართვით ქაღალდი და ვსთხოვეთ უმდაბლესად შემდეგი: რადგანაც შეუძლებელი ხალხია აქ, სკოლის მასწავლებელი სახელმწიფო ხარჯით დაგვენიშნოსო.

პირველად მ. ლეონიდი წარსულს მაისის 29-ს მობძანდა სკოლის საქმის გამო. მამასახლისს უბრძანა, რომ ხალხის ყრილობა მოახდინე და განაჩენი დაადგენინე ხალხსაო; მამასახლისს არ ესიამოვნა ეს ამბავი, რადგანაც თითონ უშვილო იყო, და ბერის ბძანება დიდად არად მიიჩნივა;—ეგ რა ჩემი ნაჩალნიკიაო. ბერს მაშინაც, როგორც ამ უკანასკნელ დროს, გვერდს ახლდნენ სამღვდელონი: კობის ბლაღოჩინი მ. ნასარიძე და სნოს მღვდელი მ. გ. სირაძე. ბერი ადგილობრივს ეკკლესიის გალავანში მიბრძანდა სამღვდელოებითურთ და ხალხს იქ უცდიდა საქადაგებლად და განაჩენის დასადგენელად. ხალხი ამ დროს დუქნის კარებზედ იდგა შეგროვილი, და საშინლად სწყევლიდა იმათ, ვინც სკოლა აქ მოიგონაო. ბოლოს, როგორც იყო 20-დე მოხუცმა კაცმა ეკკლესიის გალავანში მოიყარა თავი და დაიწყო მ. ლეონიდმაც ქადაგება. მამა ლეონიდმა სთქვა, სხვათა შორის: სწავლა კაცი-

---

რებულად თავს არავის გაუყადრებდა. სალამს არავის ალირსებდა, საკუთარს მშობლებსაც-კი რაღაც აგდებით ეპყრობოდა. ამის გამო მამა ხშირად შენიშნავდა ხოლმე: შვილო, ხომ იცი, მაცხოვარმა ბძანა, რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდესო; ხოლო რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდესო; მაგრამ შვილს არაფერი ესმოდა. მე უკედ ვიციო, ამბობდა სიმონი, სად სიმდაბლეა საჭირო და სად სიმაღლეო. ამ სიტყვებით სიმონი, რასაკვირველია, იმას ამბობდა, რომ სემინარიაში უფროსებთან სიმდაბლეა საჭირო, ხოლო სოფელში გლეხებთან—სიმაღლეო.

როგორც ზემოდა ვსთქვით, სიმონს სემინარიის დამთავრებას ორი წელი უკლდა ე. ი. იმ დროს, რა დროსაც ეს ამბავი შეეხება, სიმონი მეოთხე კლასიდამ მეხუთეში უნდა გადასულიყო. გაზაფხული მიიწურა და მაკარი მოუთმენელად ელოდა ძლევამოსილის შვილისა და ძლევა-მოსილობის ნიშნების „პიატების“ ნახვას; მაგრამ, სამწუხაროდ, ამაების ნახვის სამაგიეროდ ცუდი ამბავი გაიგონა. გაიგონა, რომ სიმონი სემინარიის მიტოვებას აპირებს და აფიცრობის შოვნა განუზრახავსო. ეს ამბავი მოეტანა ერთს სემინარიელთაგანს, რომელიც ავადმყოფობის გამო სოფელში მოსულიყო. ადვილად წარმოსადგენია, თუ რა ზარ-დამცემი იქმნებოდა ეს ამბავი მაკარისათვის. ეს რა უბედურობა მეწვია, რა უბედურობა დამატყდა თავზედაო, თვალებში ცრემლ-მორეული მოსთქვამდა ის. ხომ ფუჭად და ამაოდ ჩაიარა ამდენმა ჩემმა ამაგმა! ხომ გამიცრუვდა მოლოდინი, ხომ მიმტყუნა იმედმა! რა მიჭირდა მე უბედურს, ისევ შინ მესწავლებინა ჟამნ-დავითნი, რაც იქნებოდა, იქნებოდა. ერთს ორმოცდა-ათს თუმანს დავხარჯავდი და ვაკურთხებინებდი. ჩემი ოლარი მაინც არ დაიკარგებოდა. ახლა ოლარიც დამეკარგა და შვილიც... არა, როგორ წარმოვიდგენდი, თუ ჩემი შვილი აფიცრობას გამოეკიდებოდა. არც მამიდამ, არც დედიდამ რომ ამის ჯიში არ მოსდგამს! ჩემი პაპის მამა მნათე იყო თურმე, პაპა პრიჩეტნიკი, მამა მთავარ-დიაკვანი და მე მღვდელი ვარ. ჩემი ცოლის წინაპრებიც სულ სასულიერო წოდებისანი იყვნენ. ვფიქრობდი, შვილი ბლაღოჩინი იქნებამეთქი და ჰხედავთ, რა უბედურებ მეწვია...

ნაცნობებმა ურჩიეს მაკარის, შვილს წერილი მისწერე და ეს ურიგო განზრახვა ამხილეო. მაკარიმაც აღარ დაახანა ბევრი, აღიჭურვა ყოველისავე იმ ცოდნით, რაც მის გონებრივ საუნჯეში იყო მოთავსებული და შეუდგა წერილის წერას, რომელიც დაახლოვებით ასეთის შინაარსისა იყო: „პირმშოვო ძეო ჩემო სიმონ! მადლი შენდა და მშვიდობა ღვთისა მიერ მამისა ჩვენისა და ძისა თვისისა იესო ქრისტესა! წყალობა და კურთხევა იყავნ შენზედა! მადლმან და ჭეშმარიტებამან ღვთისამან განაბრწყინოს გული და გონება შენი ბრწყინვალებითა თვისითა. სული სიბრძნისა, სული მეცნიერებისა და სული შიშისა ღვთისა მოგეფინოს შენ ზეგარდმო. თვინიერ ამათ ყოველთა მეცა ცოდვილითა პირითა ჩემითა დღე ყოველ მავედრებელ ვარ უფლისა მიმართ, რათა ძალი და მადლი მის მიერი გფარვიდეს შენ საფარველითა თვისითა ყოვლისა ჭირისა და ბოროტისაგან, ყოვლისა განსაცდელისა და საქმეთაგან ეშმაკეულთასა. გარნა მესმა, შვილო ჩემო, ამბავი, რომლის გამო შეძრწუნებულ არს სული ჩემი, მოწყლულ არს გული ჩემი და აღშფოთებულ გონება ჩემი: ვითარმედ შენ განგეზრახოს დატოვებად სემინარია და შესვლად სამხედროსა სამსახურსა შინა აფიცრობისა ხარისხსა ზედა. ხოლო ვითარცა მასმიეს, აფიცერნი მემთვრალენი, მემრუშენი და მეამბოხენი არიან. შენ უკვე, შვილო ჩემო, ჯერ გიჩნს განშორებად ყოველთავე ამა ბიწთაგან და მოგებად გონებასა ზედა, რამეთუ ჟამსა მოხუცებულობისასა ფრიადი შრომა დამიძს შენზედა. პატივ-ეც ჭაღარასა მოხუცებულის მამის შენისასა და ნუ უგულებელს ჰყოფ მღვდელობასა. მოიხსენე სიტყვანი საღმრთო წერილისა და მოვედ სოფლად შენდა, სადა იგი ფრიად არს სამკალ, ხოლო მომკალი ყოვლად არა. უკეთუ არა აღგისრულებიეს სიტყვანი ჩემნი, უწყოდე, რამეთუ კურთხევა მშობლისა შეიცვლების წყევად, ხოლო ლოცვა—ყვედრებად. ნუ ურჩ ექმნები ნებასა მამისასა და ნუ დაადგრები გზასა მას ბოროტსა ქამისა და აბესალომისასა, რათა არა შთავარდე საფრხესა და განსაცდელსა მათთასა. ველოდები პასუხსა შენსა და ვიმედოვნებ უკუ-თქმასა შენის განზრახვისასა“.

დათიკო ვერმიშანაშვილი

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის სიჭირო არის; უფრო მთის ხალხისათვის არის საჭირო, იმიტომ, რომ მთის ხალხი ძრიელ საწყალი ხალხი ხართ. როდესაც თქვენი შვილები სწავლას მიიღებენ, გავლენ-გამოვლენ და ყოველგან საზრდოს იშოვნიანო. საზოგადოდ-კი ქართველებისთვის სწავლა მით უმეტეს საჭიროა, რომ დღემდე საქართველო სამხედრო ბეგარას არა ხდილობდა, დღეს-კი სავალდებულოდ გაგვიხდაო. თქვენს შვილებს რომ წერა-კითხვა და ანგარიში ეცოდინება, ისინი ყოველგან საქმეში დაწინაურებულნი იქნებიან და თავს ისაზრდოებენო (ხალხში ისმის: არც ერთი „სწავლული გდია უადგილოდ და მშიარი დაეხირება“). ერთმა დაასახელა კიდეც ამისთანები და ისეთებიც, რომელთაც არა უსწავლიათ-რა, მაგრამ შემძლე ოჯახის შვილები-კი არიანო... თუ იმას სწავლა არა აქვს, ან ოჯახი არ უვარგა და ან ბიჭობით ვინმე აჯობებსო.

ბერ-მონოზონმა სთქვა: თუნდა საქმეში და ხელობაში არსად იყვნენ, რა-კი თქვენს შვილებს წერა-კითხვა და ანგარიში ეცოდინებათ, მაშინ სხვა-და-სხვა ხალხის მიერ მოტყუებას, ძარცვა-გლეჯას მაინც თავიდამ აიცილებენო. დღეს ბევრს ვხედავთ ვაჭრებსა, ფრანგებს, ურიებს და სხვებს, რომელნიც ჩვენს ქვეყანაში თითქო მთლად ტიტველ-შიშველნი და მშიერნი მოდიან, ჩვენ გვატყუებენ, თითონ ფულის პატრონები ხდებიან, ამ ადგილის მკვიდრთ სულს აძრობენ და თანაც ჩვენსავე მიწა-წყალზედა სახლდებიანო. სულ არა იყოს-რა, თქვენი შვილები იმას მაინც ისწავლიან, ვის რა ძალა და ღონე აქვს, ვის რის ნება აქვს და რისა არა. ერთი მოხელე რომ მოვიდეს ეხლა თქვენთან, ელდა გეცემათ; რადგანაც მოხელეს ფორმის ტანისამოსი აცვია, თქვენა გგონიათ, ამას ყოველივე შეუძლიანო. უბრალო იასაული რომ მოვიდეს და დაგჭყივლოსთ, თავ-პირიც რომ ცემით აგინთოსთ, თქვენ შიშით ხმას ვერ გსცემთ, რადგანაც არ იცით უსწავლელობის მიზეზით, რა ძალა აქვს იმას თქვენზედ და თქვენ რა გაქვთ მასთან სათქმელი. თუ თქვენი შვილები რასმე ისწავლიან, მაშინ ვერც ამისთანა მოხელეები გაგიწევენ თავნებობასა, ვერც უწესოდ რასმე წაგართმევენო და დაგსაჯამენ, რადგანაც თქვენც გეცოდინებათ, რაც იმას ძალა აქვს უმაღლესის მთავრობისაგან მინიჭებული. თუ ურიგოებას რასმე ჩაიდენს ნასწავლს ხალხთან, მაშინ ისინიც წესისამებრ მოეპყრობიან და იმ მოხელეს დასჯიანო.

— მართალსა ბრძანებს, მართალსა! გაისმა ხალხში.

— ამის მეტად არც თქვენ გიცნობდით და არც თქვენ მე მიცნობდითო, განაგრძო მამა ლეონიდმა: მაგრამ დღეს-კი, რადგანაც ხელმწიფის და ეგსარხოსის წყალობა არის თქვენზედ და ისინი მსურველნი არიან, აქ გაჰმართონ სკოლა, რომელსაც სჭირდება თქვენის მხრით სახლი, შეშა, სანთელი და მოსამსახურე, მოიმედე ვარ, რომ სტეფან-წმინდელები უარს არ იტყვით და დიდის სიამოვნებით იკისრებთ ამ ჩემ მიერ ნათქვამს მოვალეობას და დაადგენთ ამაზედ საერთო საზოგადოების განაჩენს; რაც შეეხება მასწავლებელის ჯამაგირს, სასკოლო და სასწავლო ნივთებს,—ამაებს ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოება იკისრებს და თქვენ აღარა მოგეთხოვებათ-რაო.

ჩამოვარდა დიდი ლაპარაკი და კამათობა და ბოლოს ისევ სკოლის მომხრეებმა დასძლიეს. იმ დღეს ასე გათავდა საქმე. მეორე დღეს კიდევ გაიმართა კამათობა და ლაპარაკი. მ. ლეონიდმა ხელ-ახლად აუხსნა ხალხს მოსალოდნელის სკოლის არსებობის პირობანი და განიმეორა აგრეთვე წინანდელი ქადაგებაც. მაშინ ლაბა ქუშაშვილმა მოახსენა:—ძრიელ ბეჩავი და ყველა მხრით შევიწროვებული ხალხი ვართ, სათიბი და სახნავი მიწები არა გვყოფნის, ხაზინის მხრითაც საკომლო გადასახადი მეტად ბევრი გვერთმევა. აი დღეს ჯარის ბეგარა (ბარგი) 50 ურმით ჩვენმა სოფელმა წაიღოვო. მ. ლეონიდმა უპასუხა:—მაგ ჯარმა უწინ სხვა სოფლებზედ ჩამოიარაო; რაც შეეხება თქვენს სიბეჩავეს და ადგილის სიმწირეს, უნდა ვსთქვა, რომ სკოლაც უფრო თქვენთვის ყოფილა საჭიროვო.

— რა ვქნათ, უპასუხა ხალხმა.— ეხლა ეგრე იძახით და ბოლოს, რომ ყველა ხარჯი სოფელს მოგვეხვიოს თავზედაო?

— მე ბერი ვარ და თქვენი ცოდვა რათ მინდა? პირობა დავდოთ, ერთი პირი პირობისა თქვენთან დარჩეს და მეორეს მე წავიღებ; რასაც მე პირობას გაძლევთ, მე შევასრულებ და, რასაც თქვენ გვაღებთ, თქვენ შეასრულეთო. ხალხიდამ ხმა ისმის: კარგი იქნება, თუ ერთი პირი ჩვენ გვექმნება ხელშიო.

ამითი დაბოლოვდა საქმე; შემდეგ სტეფან-წმინდელები გავიდნენ ცალკე, მოილაპარაკეს რაღაც და მოვიდნენ ბერთან.

— მაგ ხარჯს ჩვენ ვიკისრებთ და სხვა გარეშე სოფლებს ხელი ნუ ექმნებათ სკოლასთანაო. ბერმაც ამ სიტყვაზედ მადლობა გადაუხადა და დაიწყეს განაჩენის წერაც. განაჩენის წერის დროს ყრილობიდამ ერთი გლეხ-კაცი წავიდა და ამბობდა: მე ჩემს სულს არ წავწყმენდამ და ჩემს ჩამომავალთ სკოლის ხარჯს არ დაუდგენ ვალადაო; ჩემ მაგიერ მანდ ხელი არავინ მოაწეროთ, თორემ ვიჩივლებო. რა გაეგოთ სხვა სოფლელებს, გერგეტელებს და სხვათ, გამოვიდნენ და ეხეეწებოდნენ, რა-კი სტეფანელები კისრულობენ ხარჯსა სკოლისასა, ჩვენც დაგვწერეთ და ჩვენც ვიკისრებთო. მაშინ ხალხმა შეადგინა საერთო განაჩენი და გახდნენ ყველანი სასკოლო ხარჯის გადახდის თანახმანი.

დღეს სკოლის კარებზედ მომდგარია 120 მოწაფე,—ადგილობრივს მკვიდრთ შვილები. სხვა საზოგადოებიდამ ბევრს უნდა სკოლაში ბავშვების მიბარება, მაგრამ, სამწუხაროდ, სკოლაში მიღებული 60 მოწაფედ მეტი არ იქნება, რადგანაც არც სკოლის შენობაში მოთავსდებიან მეტნი და არც მასწავლებელს შეუძლია სამოცს მოწაფეზედ მეტის სწავლება. საკვირველი ის არის, რომ ვინც წინად სკოლის გამართვაზედ წინააღმდეგობას გვიწევდნენ, დღეს ისინი უფრო წინ იწევენ სკოლაში ბავშვების მოსათავსებლად. სწავლა დაიწყეს გიორგობისთვის დამდეგს. როგორ იხარებს და იმოქმედებს სკოლა, დრო გამოაჩენს.

ა. კობაიძე

---

## სამტრედიას ბაზრობის შესახებ

დიდი ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია ჩვენს ახლო-მახლო სოფლებში სამტრედიასა და კულაშის ბაზრობამ. დიდი ხანი არ არის, რაც დ. სამტრედიაში ბაზრობა დაარსდა და, ჯერ ბევრიც არა მოეთხოვება რა; საქმე რიგიანად მიდის, მხოლოდ ცოტა არ იყოს წელს შეფერხდა. მიზეზი ამისა აი რა იყო: ამ წასულ ზაფხულს ხმა დავარდა, რომ იარმუკობა სამტრედიაში უნდა მოიშალოს და კულაშს უნდა გადიტანონო. კულაშელები დაფაცურდნენ, ადგილიც დანიშნეს, ხალხიც შეჰკრიბეს და ივაჭრეს კიდეც, ერთხელ იყო თუ ორჯელ. მერმე-კი საქმე შეჩერდა. შემდეგ ასტყდა სამტრედიას და კულაშის შუა ქიშპობა და კამათი მის შესახებ, თუ ვის დარჩება გამარჯვება. რასაკვირველია, როგორც ერთს აღმოუჩნდა მომხრეები და ჰშველიან, ისე მეორეს. ამასობაში გაჩნდა ჩვენებური „პარტიობა“, რომელიც არავისთვის არ არის სასიამოვნო. სასარგებლოა რომ ბაზრობა უმჯობეს და შუაგულ ალაგას დარჩეს სამუდამოდ და აღებ-მიცემობამ წინ ფეხი წასდგას, რითაც ხალხი ნივთიერად წარიმატებს. დღეს-კი სამტრედია და კულაში ერთმანეთს შებრძოლებიან და გაიძახის, აბა ვის დარჩება ბურთი და მოედანიო. ასეთი ცილაობა მათ შორის საზარალო და სამწუხაროა, რადგანაც ორივენი ყოველსავე საზოგადო საქმეებში ერთს და იმავე უღელსა და ჰაპანს სწევდნენ და სწევენ კიდეც; მაშასადამე ერთობა და ძმობა უნდა ჰქონდეთ ამ საქმეშიაც, მაგრამ აქ სულმა წასძლიოთ და კერძო ინტერესებმა ასტეხა ეს აყალმაყალი, თორემ, როგორც აქამდე, დღესაც ისეთი ძმები და ამხანაგები იქნებოდნენ. სამტრედიას ათ-თორმეტამდე სოფლები ახვევია გარშემო: ეწერი, იანეთი, ჯიგთუბანი, ნახევარი ჯიხაიში, ჭაგანი, ჩხენიში, კულაში, საჭილაო, ძველი ორ-პირი, ილორი და სხვ... თუმცა კულაშიც იგივეა, მაგრამ უპირატესობას სამტრედიას მისცემს ყველა, ვისაც ერთხელ მაინც გაუვლია აქ. სამტრედია, ყველამ იცის, რა იყო, მინამ რკინის გზას გაიყვანდნენ კავკასიაში, მაგრამ ახლა-კი ბევრს სხვა სოფლებს წაასწრო წინ; რკინის გზის სადგურის მეოხებით აქ ძლიერ ბევრი სხვა-და-სხვა ჯურის ხალხი იყრის თავს და ბლომად სამუშაოსაც შოულობენ, როგორც რკინის გზაზედ, ისე სხვა საქმეში, რადგანაც სამტრედია ერთად ერთი სადგურია, საიდგანაც ჩვენის ქვემო-იმერეთის სიმინდი იგზავნება სხვა-და-სხვა მხარეს. თვით ბაზარიც კარგად არის მორთული და ყოველ გვარი ვაჭრობა გაჩაღებულია; ამას გარდა სამტრედიას კიდევ უფრო კარგი მომავალი მოელის. ხმა არის, რომ აქ გადმოდის ბათუმის რკინის გზის მმართველობა და დეპო, რომლის შენობანი უკვე მალე დასრულდება. ამ შენობათ რომ შორიდგან შეჰხედოთ, პატარა ახალ ქალაქს წარმოადგენს აქაურობა. მშვენიერი, უზარმაზარი შენობანიც ააგეს სწორედ. სოფ. კულაში-კი, ცხადია, ყოველსავე ზემოხსენებულს მოკლებულია. სამტრედიაში ხალხი ბლომადაც იკრიბება პარასკეობით, რადგან პარასკევი დღეა დანიშნული სავაჭრო და სამაზრო დღედ. „ახალ მიმოხილვის“ კორესპონდენტი-კი სამტრედიას იწუნებს და კულაშს უპირატესობას აძლევს. მისის აზრით, იარმუკა ბევრად უმჯობესი იქნება, რომ კულაშს დაარსდეს. რისთვის, რა მიზეზია? მისთვის რომ ვითომ სამტრედია ჭაობიანი ალაგია, ადგილი არა აქვს, სადაც შეიძლებოდეს იარმუკის გამართვაო. ამას გარდა ხალხი რომ სავაჭროდ იკრიბება, რკინის გზაზედ გადადის და საშიშია რაიმე უბედურება არ დატრიალდესო. სამტრედია რომ ჭაობიანი ალაგია, ამის უარს არავინ ამბობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მხრივ რაც სამტრედიაა, იგივეა კულაშიც და არც ერთი ციებ-ცხელებას მოკლებული არ არის. რაც შეეხება სავაჭრო ადგილს, სამტრედიას საკმაოდ ფართო ადგილი აქვს და რკინის გზის ლიანდაგზედ ჯერ არავის არ უნახავს, რომ სავაჭრო გამოეწყოთ და ერთი მაგალითიც არ მომხდარა არავითარ უბედურებისა; მგზავრი ხალხი ყოველთვის გადად-გადმოდის ლიანდაგზედ. ეს იარმუკობაც რომ არ იყოს, მაინც ასე იქნება, იარმუკა აქ არაფერ შუაშია. თუ საჭიროება მოითხოვს რომ სხვა ადგილი იქმნას შეძენილი ვაჭრობისათვის, ესეც ძლიერ ადვილად მოუხერხდება სამტრედიას. ასე და ამ გვარად, წელს სამტრედიის იარმუკობას წინ გადაელობა კულაში, მაგრამ ბოლოს ხალხი ისევ ძველებურად სამტრედიას მოაწყდა და ვაჭრობა გაჩაღდა. სასურველია, რომ ყოველივე ქიშპობა კულაშსა და სამტრედიას შორის მოსპობილიყოს და, როგორც ყოველ საქმეში, ისე აქაც ძმობა და ერთობა ჰქონოდეთ და ერთად ეშუამდგომლათ მთავრობის წინაშე, რათა იარმუკობა სამტრედიაში დაამტკიცონ, ხოლო მისი შემოსავალი საზოგადო საქველ-მოქმედო საქმეებზედ იქმნას ხოლმე მოხმარებული. ვეჭობთ, ეს ემჯობინება ჯიბრსა და ქიშპობას.

გარეშე გლეხი

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გუშინ-წინ ორიოდე სიტყვა მოვახსენეთ ჩვენს მკითხველთ პანამის საქმის შესახებ და თანაც დავსძინეთ: რომ ჯერ ვერაფერს ვიტყვით, ვინ მართალია ამ საქმეში და ვინ მტყუანიო. ამას დრო გვიჩვენებს. მაგრამ თვით ეს საქმე ისეთია, რომ ჟურნალ-გაზეთები ძლიერ დიდს ყურადღებას აქცევენ და, ვინ იცის, ზოგი რას ამბობს და ზოგი რას. ასეა თუ ისე, რასაკვირველია, ძლიერ სამწუხაროა, რომ პანამის არხის გაყვანის საქმე შეფერხდა და იქნება დიდის ხნითაც. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ფრიად სასარგებლო საქმე, პანამის არხის გაყვანა—როდისმე დაბოლოვდება და ვინ იცის, იქნება მათი სახელი, რომელთაც ეხლა წყევა-კრულვას უთვლიან, მაშინ ქებითა და მადლობით მოიხსენიონ. პანამის საქმე იმიტომ შეფერხდა, რომ რიგიანად არ იყო გამოანგარიშებული, რამდენი ფული დასჭირდებოდა. რაც ფული იყო მოგროვილი, გამოილია. საფრანგეთს ამ საქმისათვის ან სრულიად თავი უნდა დაენებებინა, ან არა და როგორმე დაებოლოვებინა. საფრანგეთმა ამ საქმეს თავი ვერ დაანება, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ფრანგი დიდად თავმოყვარეა, უეჭველად თავისი უნდა გაეყვანა და მეორეც ისა, რომ, თუ ვინიცობაა, ამ საქმისათვის თავი დაენებებინა, მაინც დიდ ძალი ფული დაიკარგებოდა და ეს ფული მართლა რომ წყალში გადაყრილი იქნებოდა. ამიტომ ფრანგებმა ისევ ის არჩიეს, ამ საქმეს განვაგრძობთ და, რაც მოგვივა მოგვივიდესო. ვიმეორებთ ასეთის საქციელის შესახებ, ჩვენ გადაწყვეტილს ვერას ვიტყვით (გვგონია კიდეც, რომ ვერავინ ვერ გაჰბედავს თვისი მსჯავრი დასდოს ამ საქმეს, ვიდრე გამოძიება სრულიად არ გათავებულა), მაგრამ მაინც მოვიყვანთ ზოგიერთ გაზეთების აზრს ამ საქმის შესახებ. რუსეთის ერთი გაზეთი სწერს:

საფრანგეთი სცდილობდა, პანამის საქმესთვის თავი არ დაენებებინა და ხელმეორედ საჭირო ფული შეეგროვებინა და ასეც უნდა მოქცეულიყო. რაიცა შეეხება იმას, რომ პანამის საზოგადოებამ თავის საქმის გულისთვის დიდ-ძალი ფული დაჰხარჯა, ეს ასეც უნდა ყოფილიყო. დიდი საქმის განხორციელებას დიდი ხარჯიც მოსდევს. ამერიკისა და ევროპის ზოგიერთა სავაჭრო ფირმები გაზეთებში დასაბეჭდ განცხადებებათა და რეკლამებზედ ყოველ წლივ რამდენსამე ასი ათას ფრანკსა ჰხარჯავენ. ვერც ერთი სააქციონერო საზოგადოება ვერ აიცდენს ასეთს ხარჯსა. სახელმწიფოთა სესხის რეალიზაციასაც-კი, როგორც ვიცით, დიდი ხარჯი მოსდევს ხოლმე: კომისიებზე, განცხადებებზე და რეკლამებზე. ამას წინად რუსეთის კონვერსიას 20 მილიონი ხარჯი მოჰყვა. მაშ რა არის საკვირველი, რომ ისეთს დიდს საქმეს, როგორიც არის პანამის საქმე, და რომელსაც პირველადვე 300 მილიონი დასჭირდა, განცხადებასა და რეკლამებზე რამდენიმე მილიონი დაეხარჯა. რაც შეეხება დეპუტატთა და გავლენიან კაცთა დაქრთამვას, ეს ხმები იმითი აიხსნება, რომ საფრანგეთის დეპუტატები და გავლენიანი კაცები დიდს მონაწილეობას იღებენ საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთებში.

როგორც, ხედავთ, ეს რუსეთის გაზეთი სცდილობს ბრალი აჰხადოს საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთობას, რომელსაც ქრთამის აღება ჰბრალდება. სამწუხაროდ უნდა ვაღიაროთ, რომ საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთობა, თუ მართლა ქრთამები უღიათ, დამნაშავეთ უნდა ვაღიაროთ და, გვგონია, ეს დანაშაული პირველიც არ არის. მოვიგონოთ ბულანჟე და მისი დრო. რამდენი ფული დაჰხარჯეს ბულანჟელებმა გაზეთებისა და გავლენიან კაცთა დასაქრთამად? და ეხლა-კი თვით ეს ბულანჟელები ამტყუნებენ ჟურნალ-გაზეთობას, პანამის საზოგადოებისაგან ქრთამი აუღიათო. იქნება ბულანჟელების მიერ ასეთი გაზვიადება პანამის საქმისა ცილის წამებაც იყოს? ვინ იცის? იქნება პანამის საქმის შესახებაც ითქვას: „არც თუ ისე სწვიმს, როგორცა ჰქუხს“-ო.

---

## წვრილი ამბავი

პარიჟში ვიღაც ვაჭარს მანანთან სხვა მოწვეულთა შორის ყოფილა ერთი ახირებული კაცი, ვითომ და პოეტი ბ-ნი ტრაგონიც. მასპინძლის თხოვნით ტრაგონმა თავისი ლექსი „Le pater“ დიდის ამბით წაუკითხა

სტუმრებს. იქვე დამსწრე, „Bulletiendes Halles“ რედაქტორს, ბ-ნ ბიგორს მოეწონა ლექსი და გამოართვა თავის ჟურნალში დასაბეჭდად, მაგრამ რედაქტორი სანამ სტამბაში გაჰგზავნიდა ამ ლექსს ასაწყობად, ლექსისა და მეტრის დასაცველად შემდეგი ცვლილება მოახდინა: „Donne—nous aujourd'hru notre pain quotidin“-ში სიტყვა „notre“ შესცვალა „le“-დ. ეს იმდენად იწყინა პოეტმა ტრაგონმა, რომ რედაქტორს სასამართლოში უჩივლა: ჩემდა უნებურად ჩემი ლექსი „Le pater“ დაბეჭდა და ლექსიც შესცვალა, რითაც მან სახელიც გამიტეხა და 10,000 ფრანკიც მაზარალაო; გთხოვთ, რედაქტორის დასჯის გარდა, ეს ზარალიც აღმიდგინოთო. სასამართლომ მომჩივანისა და მოპასუხის ადვოკატის: ბ-ნთ ბილარს და ჟორჟ-პეტის სიტყვები მოისმინა და უარ-ჰყო ახირებული საჩივარი. მასთან სასამართლოს საქმის-საწარმოებელი ხარჯიც გადაასხდევინა უცნაურს მომჩივანს.

— ნიუიორკიდამ დეპეშით აუწყებენ გაზეთებს, რომ ამ დღეებში სან-სალვადორში მიწის-ძვრა იყო და ქალაქი „La Union“-ი სულ ერთიანად დაინგრაო. ბევრი ხალხი დაღუპულა ამ მიწისძვრის გამო.

— იქიდამვე დეპეშითვე იუწყებიან, რომ არნეგოში (მექსიკაშია) ამფითეატრში ხარების ბრძოლა გაუმართავთ; გამხეცებულ პირუტყვებს ერთმანეთის ბრძოლისათვის თავი დაუნებებიათ და მაყურებელ საზოგადოებას სცემიან. მოხდა თურმე დიდი არეულობა, ასტყდა ღრიანცელი ხალხში, ამფითეატრის შენობა დაინგრა და მის ქვეშ 100-ზე მეტი კაცი მოჰყვა. დაშავებული და დაჭრილებიც ბევრია თურმე.

— პარიჟიდგან დეპეშით ამბავი მოვიდა, რომ იქ ამ დღეებში დაუპატიმრებიათ მესამე გერმანელიც, რომელსაც „Bons-Entants“-ის ქუჩაზე აფეთქება ჰბრალდება.

— ლონდონიდამ დეპეშითვე იუწყებიან, რომ ლიმერინში არტილლერიის ჯარისკაცნი დამთვრალან, აჯანყებულან, დასცემიან სახლებს, რომელნიც გაუცარცვავთ და დაუნგრევიათ. ბევრი მათგანი უკვე დაპატიმრეს.

— გავრში, 21 ნოემბერს, შეუპყრიათ ინგლისელი ჩარლს-უელსი, რომლის შესახებ ამ ორის წლის წინად ევროპის გაზეთებს დიდი ლაპარაკი ჰქონდათ: სათამაშო სახლში ჩარლს-უელს დიდი ბედი თურმე ჰქონდა და სულ იგებდა. იქამდე მიაღწია მისმა იღბლიანობამ თამაშობაში, რომ რამდენჯერმე მოიგო თურმე აუარებელი ფული ახლა მას ბრალდება სხვა-და-სხვა აკაზაკობა, რომელიც ინგლისში ჩაუდენია, რისათვისაც ინგლისის მთავრობა სთხოვს იქაურს მთავრობას, სადაც უელსი შეიპყრეს, ჩვენებური ავაზაკი ჩვენვე მოგვეცითო.

### წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ნება მომცეთ თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო თავადს ვასილ გიორგის ძეს მაჩაბელს, რომელმაც შემოსწირა ჩემდამი რწმუნებულის სასწავლებლის საყმაწვილო ბიბლიოთეკის სასარგებლოდ ოც-და-ხუთი მანეთი.

ინსპექტორი ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისა ალ. ჰიჰინაძე

1 დეკემბერი 1892 წ.
ტფილისი

# დეპეშა

2 დეკემბერი

**პეტერბურგი.** მთავარ-გამგებელმა საკუთრად მისის უდიდებულესობის კანცელარიისამ, რომელიც დაარსებულია იმპერატრიცა მარიამის დაწესებულებათათვის, აუწყა სატახტო ქალაქების ზემოხსენებულ უწყების დედათა ინსტიტუტებს, რომ რა-კი ხოლერა ჯერ კიდევ არ მოსპობილა იმპერიის ზოგიერთს ადგილებში, ამიტომ ხელმწიფე იმპერატრიცამ ბრძანა: საშობაოდ ნუ დაითხოვთ შეგირდებს დედ-მამთა და ნათესავებთან, ხოლო სანუგეშოდ მათ ბ გაართეთ, რიგიც-კი შეიძლებოდეს დღესასწაულ დღეებშიო.

**მოსკოვი.** ცნობილმა არაყის ვაჭარმა პეტრე სმირნოვმა გადიხადა ბაჟი არაყისა ნოემბერში 1,628,945 მან. 85 კაპ. და იყიდა სპირტი 2 მილიონი ვედრა, 40 გრადუსიანი, ხოლო ბაჟი გადიხადა ამისათვის 11 მილიონ მანათზედ მეტი.

**პარიჟი.** რეინაკის შინა-მოსამსახურე გამოუტყდა გამომძიებელს და სთქვა, რომ ჩემის ბატონის გვამის ახლო ვიპოვნე შუშა საწამლავითაო. გამოძიების კომისიამ გარდასწყვიტა, მოისმინოს სხვა საქმეთა გამოც ჩვენებანი, გარდა პანამის საქმისა. ამის გამო მოითხოვა სასამართლოს საბუთები სადინამიტო საქმეთა შესახებ. ამ საქმეში მონაწილეა არტონიცა. სარესპუბლიკო უმეტესობა აღელვებულია, რაკი გამოძიება ასე გადიდდა სიღრმე-სიგანით. რამდენიმე რესპუბლიკელი დეპუტატნი იწოდებენ დღეისათვის თავიანთ მომხრეთ წინანდელ დასთა და ჯგუფთა ალსადგენად, რაიცა უმრავლესობას შეაძლებინებს თავისი აზრი გამოსთქვას და მით გაარიგოს საქმე.

**პარიჟი.** ფინანსთა მინისტრად დანიშნულ იქმნა ტირარი.

**სოფია.** სტამბულოვმა განმარტა კერძო კრებაზედ პროექტი ბოლგარიის კონსტიტუციის გადასინჯვისა იმ მიმართულებით, რომელიც უწყებულია. დამსწრე დეპუტატთა შორის ბევრი დაჰპირდა, პროექტს მომხრეობას გავუწევთო.

**ბერლინი.** რეიხსტაგმა სამხედრო კანონ-პროექტი გადასცა კომისიას, რომელშიაც 28 წევრია.

**დარმშტადტი.** დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრესძე მეუღლითურთ შაბათს აპირობს წაბრძანებას მოსკოვს.

3 დეკემბერი

**პეტერბურგი.** როცა ზღვათა სამინისტროს გამგე ჩიხაჩოვი სინჯავდა შენობებს ახალ ადმირალტეისტვოში 2 დეკემბერს, ხარაჩოებიდამ ჩამოვარდა ფიცრის ნატეხი და დაუშავა ადმირალს ცხვირი. თუმცა ადმირალი საზოგადოდ კარგად არის, მაგრამ მაინც სრული მოსვენება ეჭირვება.

**პარიჟი.** გამოძიების საბუთები სადინამიტო საქმის გამო გადაეცემა გამომძიებელს კომისიას. პანამის კომისიამ მოისმინა ჩვენება რუვიესი, კლემონსოსი და კონსტანისა.

გარდაიცვალა აკადემიკოსი და ჟურნალისტი ჯონ ლემუანი.

დღეს დილით ბარონ რეინაკის სადგომში შეუდგნენ ბეჭდების ახსნას; ის ქაღალდები, რომელიც შეკრული და ბეჭედ-დაკრული იყო პოლიციის მიერ, გაეგზავნება გამომძიებელს კომისიას.

**სოფია.** კონსტიტუციის მე-38 მუხლს მიემატება, რომ ბოლგარიის მთავარი და მისი მემკვიდრე უნდა იყვნენ მართლ-მადიდებლის სარწმუნოებისანი, ხოლო პირველს მთავარს და პირველს მის მემკვიდრეს შეუძლიანთ თავიანთი საკუთარი სარწმუნოება იქონიონო.

პეტერბურგის ბირჟა, 1 დეკემბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,99 | 8,02 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 160 | 160 3/4 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 242 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 222 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 193 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | 102 1/4 | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | 102 1/4 | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98 1/2 | — ,, | — ,, |

# განცხადებანი


ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ ამა 1892 წლის 10 დეკემბერს, დილის 12 საათზედ, გამგეობის დარბაზში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქალაქის აგარაკ კუკიის იჯარით გაცემისა, სივრცით 888 დესიატინა და 1800 ოთხ-კუთხი საჟენი, საძოვარი, სახნავ-სათესი და სათიბი ადგილი 3 წლის ვადით, 1893 წლის 1 იანვრიდგან 1896 წლის 1 იანვრამდე. პირობათა შეტყობა მსურველთ შეუძლიანთ ყოველ დღე ქალაქის გამგეობის კანცელარიაში, დილის 10 საათიდგან 1 საათამდე. (3—3)

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ გამგეობის დარბაზში ამა 1892 წლის 11 დეკემბერს დილის 12 საათზედ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ალექსანდრეს ბაღში საფარდულე ადგილების იჯარით გასაცემად, ეს ადგილები ამ ჟამად იჯარით აღებული აქვს აკოფოვს ბ იქ ისყიდება ლიმონადი, შუშხუნა წყალი, რძე, კუმისი და კეფირი. ეს ადგილები იჯარით გაიცემა 3 წლის ვადით, 1893 წლის 1 იანვრიდგან 1896 წლის 1 იანვრამდე. პირობათა შეტყობა შეიძლება გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან 1 საათამდე. (3—3)

**საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან**

აუწყებს ვენახებისა, ხეხილიანის ბაღებისა და სხ. პატრონთ, რომ, საზოგადოების წესდების § 30 ძალით, ამ საზოგადოებასთან არსდება ცალკე განყოფილება საკუთრად ვენახების, ბაღების და სხ. დაზღვევისათვის სეტყვისაგან ამ განყოფილების მოქმედება დაიწყება მხოლოდ მაშინ, როცა მსურველნი დაზღვევისა იქმნებიან იმდენი, რომ მათის დასაზღვევის მამულების საზღაური 500,000 მან. იქნება.

სურვილი თვისი უნდა გამოუცხადონ საზოგადოების სააგენტოს დილის 9—12 საათამდე, ხოლო მერმისს პირველ იანვრიდგან დილის 9—3 საათამდე. (აბას-აბათის მოედანი, მელიქ-ნუბაროვის აფთიაქის გვერდზედ, საკუთარი სახლი). იქვე შეიძლება მიიღოს მსურველმა შემდეგი წიგნები:

Страхованіе отъ градобитія.

Краткій очеркъ развитія этой отрасли обезпеченія въ Германіи и Россіи.

Сборникъ свѣдѣній для опредѣленія убытковъ, причиняемыхъ культурнымъ растеніямъ градобитіями и др. атмосферическими вліяніями, а также насѣкомыми и болѣзнями.

Составилъ В. А. Таргонскій

საგენტოს გამგე დ. ქ. თუთაევი.

1893 წლის 1 იანვრიდგან არსდება ტფილისში

**„უნივერსალი საagentო“**

დ. ქ. თუთაევისა

აბას-აბათის მოედანზედ, მელიქ-ნუბაროვის აფთიაქის გვერდზედ, დილის 9—3 საათამდე.

საქმე სააგენტოსი:

I რიგისა

დაზღვევა სიცოცხლისა ყოველ იმ წესით, რა წესითაც-კი შესაძლოა.

დაზღვევა ცეცხლისაგან უძრავისა და მოძრავის ქონებისა.

დაზღვევა ჭირნახულისა და ვენახებისა სეტყვისაგან.

გასყიდვა 5-%-იან მომგებისბილეთებისა I და II სესხისა და სახელმწიფო სათავად-აზნაურო მომგებიან გირავნობის ფურცელთა ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდით და ხელ-მოსაცემ პირობით.

დაზღვევა მომგებიან ბილეთებისა გაბათილებისაგან უზრუნველ-ყოფისათვის, თითო ბილეთისა 60 კაპეიკად.

II რიგისა

შედგენა ხარჯთ-აღრიცხვათა და გეგმებისა შენობათა ასაგებად. (სააგენტოს ჰყავს საკუთარი ხუროთ-მოძღვარი-არხიტექტორი).

შესრულება ქალაქ გარეშე მცხოვრებთა ყველა საქმისა, რომელიც-კი შეეხება მთავრობისა და სხვა კერძო დაწესებულებათა, აგრეთვე კომერციის და სხ.

საგენტო ტვირთულობს სოფლისა და ქალაქის მამულების დაგირავებას ტფილისის სათავად-აზნაურო და სახელმწიფო ბანკში და აგრეთვე საკრედიტო საზოგადოებაში.

რუსეთის სავაჭრო და საკომისიო ბანკი

(ძირის ფული **1.000,000** მან.)

პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, 27

ისყიდება 5%-იანი მომგებიანი ბილეთები I და II სესხისა და გირავნობის ფურცელნი სახელმწ. საადგილ-მამულო ბანკისა ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდით.

ბეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი 10% იმისი, რაც ბილეთი ჰღირს ბირჟაზედ (არა ნაკლებ 15 მან.). ყოველ თთვე-და-თთვე უნდა გადახდილ იქმნას იმდენი, რამდენსაც თვით მყიდველი ისურვებს (არა ნაკლებ 5 მან.)

კუპონები სრული საკუთრებაა მყიდველისა. ბეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.

დაზღვევა ბილეთისა გაბათილებისაგან ჰღირს 60 კაპ.

(20—17) აგენტი დ. ქ. თუთაევი

**რუსეთის საზოგადოება ცეცხლისაგან დაზღვევისა**

კანტორა უმთავრესის საგენტოსი კავკასიისათვის არის ტფილისში, განოვის ქუჩაზედ, ნოტარიუს მამიკონოვის კანტორის გვერდზედ, ყაზაროვის სახლში.

(30—22) ინსპექტორი საზოგადოებისა ვ. ფ. ტარანოვი.

ა ხ ლ ა დ გ ა მ ა რ თ უ ლ ი

**პანსიონი და სასწავლებელი**

ა. გ. მ ი რ ზ ა შ ვ ი ლ ი ს ა

იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბაღდოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყო 25 სექტემბრიდამ. (50—25)

**დედა-ენა**

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, ახალი მეცხრე გამოცემა დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. წიგნის ტექსტი შეუცვლელად არის დარჩენილი, მხოლოდ თავში ჩართული აქვს სახატავი სურათები და ბოლოში ოთხი გვერდი საწერი დედანი მხედრულისა და შუათანა ხელისა, ასე რომ ამ წიგნის ხმარების დროს მოსწავლეს ცალკე დედანი აღარ დასჭირდება. ფასი უწინდელია—ექვსი შაური. ვინც იყიდის 30 ცალს ერთბაშად ნაღდს ფულზედ, წიგნი დაეთმობა უყდოდ 25 კ. და ყდით 33 კ.

შემდეგი გამოცემისათვის უკვე შეკვეთილია საწერი დედანი წვრილის ხელისა და ნუსხურისა. 10—9


Доз. ценз. Тифлисъ, 3-го Декабря 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.